

**Manana Pkhakadze, Ketevan Nadareishvili**

მანანა ფხაკაძე, ქეთევან ნადარეიშვილი

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **The Original Source of Teimuraz Batonishvili's *The Destruction of Troada***

#### **თეიმურაზ ბატონიშვილის „ტროადის დარღვევის“ პირველწყარო**

The paper examines Teimuraz Batonishvili's poem *The Destruction of Troada*, the first Georgian poetic work on the Trojan War in relation to Guido de Columna's *The History of the Destruction of Troy* for the first time, based on its Georgian translation (manuscript S:5. Georgian National Centre of Manuscripts). Columna's literary work has been proposed to be the original source of this poem though without any comparative analysis ever held. The research made evident that Columna's text appears to be the original source of Teimuraz Batonishvili's poem following the original consistently, but with big cuts. One can find some innovations in Batonishvili's poem as well.

**Key words:** Teimuraz Batonishvili. Guido de Columna. Destruction of Troy. Immigration. Identity

**საკვანძო სიტყვები:** თეიმურაზ ბატონიშვილი, გვიდო დე კოლუმნა, ტროადის რღვევა, ემიგრაცია, იდენტობა

თეიმურაზ ბატონიშვილმა (1782-1846) ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის – გიორგი XII-ის ნაბოლარა ვაჟმა ბევრი იბრძოლა რუსეთის მიერ გაუქმებული სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის, თავისი ძმის დავითისთვის დასაბრუნებლად, მაგრამ ვერაფერი გააწყო და როგორც უტახტო სამეფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრე დავითი, ისიც პეტერბურგში სიცოცხლის ბოლომდე (1810-1831) ცხოვრობდა და ეროვნული იდენტობისა და ნაციონალიზმის ერთადერთ ნავსაყუდელად ქცეულ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწოდა.

თეიმურაზ ბატონიშვილი ემიგრაციაში, როგორც ცნობილია, ბევრს თარგმნიდა სპარსული, თურქული, რუსული, ფრანგული, სომხური ენებიდან (დაწვრილებით იხ. შარაძე, 1974; მესხია, 1939). ორიგინალური ნაწარმოებები კი შედარებით მცირერიცხოვანი აქვს. მათ შორისაა პოემა „ტროადის დარღვევა ანუ მეხადის ვაშლის განმარტება“ (დაწვრილებით ამ პოემის ორიგინალობის გარკვევისათვის და თავად პოემის შესახებ იხ. ფხაკაძე, გარდაფხაკაძე, 2025).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია თეიმურაზ ბატონიშვილის, ტროის ომის პირველი ქართული პოემის „ტროადის დარღვევა ანუ მეხადის ვაშლის განმარტება“ წყაროს დადგენა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელნაწერთა ფონდებში დაცული გვიდო დე კოლუმნას (XIII ს.) „მოკლე ისტორია ტროადის დარღვევის შესახებ“ (ქართული ხელნაწერი) შუა სუკუნეების პოპულარული რომანის „ტროას დაცემის ისტორიის“ რუსულიდან თავისუფალ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს (ასათიანი, 2021, გვ. 89), საინტერესოა, რა კავშირშია თეიმურაზ ბატონიშვილის ემიგრაციაში დაწერილი პირველი ქართული პოემა ტროის ომზე გვიდო დე კოლუმნას „მატიანე რომელსა შინა წერილ არს დარღვევა ქალაქისა ტროადისა ფრიდიის სახელმწიფოსა“-თან. (S:5 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექცია).<sup>1</sup> მოხსენებაში პირველად ქართულ

<sup>1</sup> ქართულ ხელნაწერთა ფონდში გვიდო დე კოლუმნას [მატიანე ტროადის ბრძოლისა] რამდენიმე ხელნაწერია – E34 (G46; E95). ჩვენ ორი ხელნაწერი შევადარეთ და განსხვავება ვერ აღმოვაჩინეთ. S:5 ხელნაწერი ლამაზი

სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებულია ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთთან იმის გასარკვევად, თუ რამდენადაა თეიმურაზის პოემის „ტროადის დარღვევა ანუ მეხადის ვაშლის განმარტება“ წყარო გვიდო დე კოლუმნას თხზულება (ქართული თარგმანი) „მოკლე ისტორია ტროადის დარღვევის შესახებ“, პირველ რიგში, სათაურის მსგავსების გამო.

მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვა თავად გვიდო დე კოლუმნას შესახებ. გვიდო დე კოლუმნა (ლათ.: Guido de Columna; იტალ.: Guido delle Colonne) XIII საუკუნის იტალიელი მწერალი და პოეტი ცნობილი იყო თავისი 31 წიგნისგან შემდგარი ლათინურ ენაზე დაწერილი ისტორიით „ტროის რღვევის ისტორია“ („Historia destructionis Trojae“, დაასრულა 1287 წ-ს),<sup>1</sup> რომელიც XIV-XV სს-ში ითარგმნა გერმანულ, იტალიურ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, უნგრულ, შოტლანდიურ, პოლანდიურ ენებზე, მოგვიანებით სლავურ და რუსულ ენებზე და დიდი ხნის განმავლობაში ტროის მოვლენების შესახებ ყველაზე სანდო წყაროდ ითვლებოდა. შესაბამისად, გვიდო დე კოლუმნას „ტროის რღვევის ისტორიით“ გაეცნო ევროპა ტროის ომის პერიპეტიებს. გვიდო დე კოლუმნას შემოქმედება<sup>2</sup> ბევრი მწერლის შთაგონების წყაროდ იქცა (შექსპირი, დანტე, ჯეფრი ჩოსერი). მან ასევე გავლენა მოხდინა ევროპულ სიმბოლიზმზე.

გვიდო დე კოლუმნა შესავალში ამტკიცებდა, რომ მისი ისტორია დაფუძნებული იყო დარეს ფრიგიელის „De excidio Trojae historia“-სა („ტროის ომის დღიური“, ახ.წ. I-II საუკუნეები)<sup>3</sup> და დიქტის კრეტელის „Ephemerides belli Trojani“<sup>4</sup>-ზე („ტროის განადგურების ზღაპარი“, ახ.წ. V-VI საუკუნეები) ნაწარმოებებზე, რომელთა ავტორები თითქოსდა ტროის ბრძოლებისა და ტროის დაცემის მონაწილეები იყვნენ და შესაბამისად, ეს მისტიფიკატორები ტროის მოვლენების აღმწერთაგან ყველაზე სანდო წყაროდ ითვლებოდნენ დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე ტროის ომის შესახებ კანონიკურად მიჩნეული ჰომეროსის პოემები საზოგადოებისთვის ცნობილი და პოპულარული გახდებოდა: „*დამწერნი იგი თვით იყვნენ ბრძოლათა შიგან და თვითმხილველ არიან ყოვლისა მის დაწყებითაგან საქმეთა თვისთა. ამისთვისცა მართლიადცა აღწერს იგი, და მერმელა პირად-პირადთა ჟამთა შინა. ომირ ვირლილიაშ და ოვიდი სოლომონელმან დაწერეს იგი თითოეულთა მათგანთა. არამედ არა მართლიად. რომელთა შორის მრავალნი სიტყვა უსწორობანი და ტყუილ ზღაპარნი მოიპოვნენ, და უფროსდა ოვიდი სოლომონელმან. ფრიადის ცრუ სიტყუა მოზღაპრებითა აღწერა, ვინათამ შთაურივნა ღმერთნი, რომელთაცა ძველნი ელინნი პატივს ჰსცემდნენ*“<sup>5</sup> (გვიდო დე კოლუმნა S:5, შესავალი).

უნდა აღინიშნოს, რომ, თავის მხრივ, გვიდო დე კოლუმნას „ტროის რღვევის ისტორიის“ წყაროდ ითვლება ბენუა დე სენტ-მორის ფრანგულ ენაზე დაწერილი ვრცელი პოემა „რომანი ტროის შესახებ“<sup>6</sup> (30 000-ზე მეტი სტრიქონი; შესადარებლად – ჰომეროსის „ილიადა“ 15 700 სტრიქონია).<sup>1</sup>

---

მხედრული კარლიგრაფიით, შავი მელნით, სათაურები კი წითლითაა შესრულებული; ხელნაწერი 260 გვერდია, აკლია 187, 188, 189 გვერდები.

<sup>1</sup> პირველად ლათინურ ენაზე დაიბეჭდა კიოლნში 1476 წ-ს.

<sup>2</sup> თუმცა ასეთივე წარმატებით შეიძლება ამ მწერლებზე ბენუა დე სენტ-მორის გავლენაზე ვისაუბროთ.

<sup>3</sup> გვიდო დე კოლუმნა ხშირად ახსენებს დარეს ფრიგიელს „აქა სახეთა და ზნეთა ბერძ. ფრიდი დარია მოგვიითხრობს ბერძ, დიდთა მეფეთა და მხედართა“ (გვიდო დე კოლუმნა S:5, გვ. 76); „იგივე სახეთა და ზნეთა ტრიანელთა. ფრიდი დარია მოგვიითხრობს ბერძ, დიდთა მეფეთა და მხედართა“ (გვიდო დე კოლუმნა S:5, გვ. 77) და ა.შ.

<sup>4</sup> „ამბავი პრიამოსისა და ჰეკუბას და მესთა მისთა დიქტის...“ (გვიდო დე კოლუმნა S:5, გვ. 32).

<sup>5</sup> ვირლილია ვერგილიუსი უნდა იყოს, როგორც იოანე ბატონიშვილის კალმასობაშია: ითხოვს საჭიროებაი შემთხვევისას ამისთვის ძველთა ფილოსოფოსთა სადიდებლად თქვენდა: პლატონს, ლომერს, სოლონს, ვირლილიას, ციკერონსა, კურციოს, ოვდის, ბარდონს ცხრათა მუზთა“ (ბატონიშვილი, 1935, გვ. 178).

<sup>6</sup> შესავალი (გვიდო დე კოლუმნა S:5, გვ. 5).

<sup>7</sup> ბენუა სენტ მორის პოემა, თავის მხრივ, ასევე შუა საუკუნეებში ძალზე პოპულარულ ორ გვიანანტიკურ ტექსტს ეყრდნობოდა, რომლებიც ტრადიციულად ტროის ომის ლეგენდარულ მონაწილეებს დიქტის კრეტელს და დარეს ფრიგიელს მიეწერებოდა. ის, რომ ეს ტექსტები ოდენ გვიანანტიკური პერიოდის ნარატივებს წარმოადგენდნენ და არა ტროის ომის თანამედროვეთა დღიურებს, მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი. გადმოცემებს ტროის ომის შესახებ შუა საუკუნეებში უპირატესად სწორედ ამ თხზულებებით იცნობდნენ.

ეს პოემა შემოკლებით უთარგმნია გვიდო დე კოლუმნას, მაგრამ ავტორი არ უხსენებია. XIII საუკუნეში ფრანგული პოემის ლათინურ პროზად თარგმნის შემდეგ გვიდო დე კოლუმნას „ისტორია“ იმდენად პოპულარული გახდა განათლებული ევროპელი მკითხველისთვის, რომ პირველწყარო, საფრანგეთში ცნობილი და სახელგანთქმული ბენუა დე სენტ-მორი, გვიდო დე კოლუმნას მიმბაძველადაც კი მიიჩნის.<sup>2</sup>

თუ ბენუა დე სენტ-მორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა სასიყვარულო ისტორიების დეტალურ აღწერაზე, თხრობაში ეგზოტიკურ და ფანტასტიკურ მოტივზე, ასევე ტროის ომის მონაწილე გმირების შუა საუკუნეების რაინდებისთვის მიმსგავსებაზე, მისი მიმდევარი გვიდო დე კოლუმნა ტროის ომის ისტორიას, ძირითადად, იყენებდა არა მკითხველის გასართობად, არამედ მკითხველის განათლებისათვის. გვიდო დე კოლუმნას „ისტორიის“ სიუჟეტი საკმაოდ მარტივია, მაგრამ რთულია სინტაქსური საქცევებით, რიტორიკული ფიგურებითა, რიტორიკული ხერხების საკუთარი უნიკალური მოდელების გამოყენებით. „ტროის რომანის“ გმირების მკაფიო და გასაგები დიალოგები და მონოლოგები „დიპლომატიური მოლაპარაკებებისას“, სამხედრო საბჭოების შეკრებებისას გვიდო დე კოლუმნას „ისტორიაში“-ში, როგორც წესი, გრძელ გამოსვლებად იქცა, რომლებიც აგებულია ლათინური მჭევრმეტყველების სკოლის ნორმების შესაბამისად. გვიდო დე კოლუმნა „ისტორიის“ პროლოგში აღნიშნავს თავისი ლათინური ტექსტის განსაკუთრებულ სარგებელიანობაზე მათთვის, ვინც „ლიტერატურას იცნობს („გრამატიკას კითხულობს“, „in utilitatem eorum precipue qui gramaticam legunt“ (Griffin, 1936, p. 5)) და ბოლო სტრიქონებში ასევე ხაზს უსვამს თავის განზრახვას, რომ განათლებულ საზოგადოებას ჰქონდეს თანამედროვე ისტორიის ჭეშმარიტი ცოდნა და უფრო მეტად დატკბნენ მისით“ „ad litteratorum... solacium, ut veram noticiam habeant presentis hystorie et ut magis delectentur in ipsa“ (Griffin, 1936, p. 275)).

გვიდო დე კოლუმნას რიტორიკით გატაცება შეუმჩნეველი არ დარჩენია ევროპელ მკითხველს, ასე მაგალითად, ინგლისელი პოეტი, ჯონ ლიდგეიტი, ჩოსერის მიმდევარი (დაახლ. 1370-1451 წწ.) აქებდა გვიდო დე კოლუმნას ტროის ომის ისტორიას „მჭევრმეტყველების ყვავილებით“ ღირსეული შემკობისთვის: „და მისი სახელი იყო გვიდო დე კოლუმნა,/ მწერლობაში დახელოვნებული,/ მხიბლავს ოსტატობითა და რიტმით, ეს კეთილშობილი ისტორია რიტორიკის მრავალი ახალი ფერთა და მჭევრმეტყველების მრავალი მდიდარი ხმით,/ რათა ის უფრო საინტერესო გახდეს“.<sup>3</sup>

თავად გვიდო დე კოლუმნას რომ აღელვებდა გადმოცემის სილამაზესთან დაკავშირებული საკითხები, ამას მოწმობს „ისტორიის“ დასკვნითი ნაწილის კიდევ ერთი ფრაგმენტი: „ამ ამბავს უფრო დახვეწილი სტილით გავალამაზებდი, აყვავებული მეტაფორების, კამკამა ფერებისა და ნარნარი გადასვლების დახმარებით, რომლებიც მეტყველების შემკულობაა, მაგრამ ნაწარმოების სიდიდის გამო მეშინოდა, რომ რაღაც ცუდი შეიძლება დამემართა, სანამ ამ გრძელ ამბავს დახვეწილი სტილით ვწერდი, ადამიანთა მოუთმენლობის გამო“ (Griffin, 1936, p. 294).

ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი გვიდო დე კოლუმნას „მოკლე ისტორია ტროადის დარღვევის შესახებ“ რუსულიდანაა თარგმნილი, მაგრამ მთარგმნელის არაკვალიფიციურობის გამო

<sup>1</sup> ამ ნაწარმოებს რომანი, ალბათ, მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს. ეს ფრანგული შუა საუკუნეების რომანის მოსამზადებელი ეტაპი უფროა. XIII საუკუნეში ანტიკური ციკლის რომანების პროზაული გადამუშავებები ლეგენდარულ მასალას სულ უფრო მეტად ისტორიოგრაფიულ ამოცანებს უთანხმებდა. ამ წიგნებმა დაკარგეს თავისი რომანისტული თავისებურებები და ბელეტრიზირებულ ისტორიად გადაიქცნენ.

<sup>2</sup> გვიდო დე კოლუმნას წიგნის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა და ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკა გვიდოს ნაშრომების უფრო მეტ კოდექსს (240) შეიცავს, ვიდრე ბენუას პოემისას.

<sup>3</sup> “And of Columpna Guydo was his name,  
Whiche had in writyng passyng excellence.  
For he enlvmyneth by crafte & cadence  
This noble story with many fresche colour  
Of rethorik, and many riche flour  
Of eloquence to make it sownde bet...” (Bergen, 1906, p. 11) .

შეცდომებითა და დიდი ხარვეზებით. XVII ს-ში კვლავ არაერთხელ ითარგმნა და საგრძნობლად იქნა შეკვეცილი. „ისტორიის“ თარგმანის ორიგინალური ტექსტი დაახლოებით სამჯერ შემცირდა, რაც, ძირითადად, განპირობებული იყო ავტორის ვრცელი გადახვევებისა და გვიდოს „ფსევდომეცნიერული“ მსჯელობების შეკვეცით, ასევე პერსონაჟების მჭვრეტეცველების პასაჟების გამოტოვებით – ანუ იმით, რაც დასავლურ ტრადიციაში გვიდო დე კოლუმნას ნაშრომს უდიდეს ხიზლს ანიჭებდა.

სწორედ ეს შემოკლებული რედაქცია, რომლის შექმნასაც უკავშირებენ თევდორე ზოლოზინის სახელს, დაედო საფუძვლად 1709 წ-ის გამოცემას, რომელიც 1780-ს გაიოზ რექტორმა რუსულიდან ქართულად თარგმნა.<sup>1</sup> თხზულების თარგმანის მიზანი უპირველესად საგანმანათლებლო იყო. წიგნი თელავის სასულიერო სემინარიაში სახელმძღვანელოს სტატუსით ისწავლებოდა. ბუნებრივია, რომ გაიოზ რექტორის ამ თარგმანს იცნობდა თეიმურაზ ბატონიშვილიც, რომელიც თელავის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.

გვიდო დე კოლუმნას „ტროადის დარღვევის ისტორია“ პროზაული მატიანა ტროის ომის მთელი ისტორიის, ის ყველაზე სრულყოფილად გადმოსცემს ტროის ციკლის ყველა სიუჟეტს – თხრობა შორიდან, კოლხიდაში არგონავტების ლაშქრობით იწყება, ამას მოსდევს ბერძნების მიერ ტროის მეფის ლამედეონის, პრიამოსის მამის მოკვლა, მისი ქალიშვილ ჰესიონეს (ტექსტში – ექსიონა) მოტაცება, ტროის გადაწვა, დიდი ბრძოლები, ტროის ხელახალი აღშენება, ისევ დაუსრულებელი ბრძოლები ... და სრულდება ტროის საბოლოოდ დაცემის, მიწისაგან პირისა აღგვითა და ომში მონაწილე გმირების თავგადახდენილი ამბებით.<sup>2</sup>

თეიმურაზის პოემა „ტროადის დარღვევა“ მომცრო ზომის დაახლ. 678 სტრიქონს შეიცავს და, როგორც თავად ბატონიშვილი აღნიშნავს: „აქ ყველანი ვერ მოვიხსენეთ გაგრძელდა სიტყვა, მაჯა სცემს ბრძოლას,/ ბევრი და მეტი მოაწყენს სიტყვა მკითხველ და მსმენელს აწყინებს ყოლას“.<sup>3</sup> შესაბამისად, პოემა უშუალოდ ტროის ომის ამბავს გადმოგვცემს თავიდან ბოლომდე – discordia malum-იდან („ეს ვაშლი არის, ქორწილსა შინა იყვნეს სამნი ღმერთნი მზენი,/ იუნონაი, მინერვა და ვენერაი ცისკრებრი მთენი,/ მეინახენი მას ქორწილს შინა, შვებით განცხრომით შუქთა მომფენი...“). ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 1) ვიდრე fuimus Troiani, fuit Troia-მდე („არცა ქვეყანა, არცა ქალაქი, არცა დაბანი, არცა ნაყოფნი,/ არცა მეფობა, არცა დიდება, არც ოქრო, ვერცხლნი უხვად სამყოფნი“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 36)). ასეთი ემოციით სამეფოსა და დიდების დაკარგვის გადმოცემას ამის დამთმენი ადამიანი თუ შეძლებდა. თეიმურაზის მარი ბროსესადმი მიწერილ წერილებში თეიმურაზის ეს განცდები კარგად ჩანს: „გთხოვთ, მუსიეი ბროსეტ, ჩემო მეგობარო, წერილებში, ლიტერატურაში, ჩემს ტიტულს ნუ აგდებთ და: ცარევიჩობა ჩასწერეთ „ხოლმე“ (თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, 1964, გვ. 83), ანდა მინაწერი: „რუსეთის იმპერიაში და ჩვენს ქვეყანაში დიდი სირცხვილი „არის კაცისათვის, თუ თავისი ტიტული დაკარგა. ჩვეულება ასე არის და უკაცრაოთ ნუ ვიქნები“ (თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, 1964, გვ. 84) ანდა „დიდად ვირცხვნი და ბოდიშს ვითხოვ შენთან. ასე არ ჩამომართვო და ასე არა სთქვო, რომ ცუდ დიდების მოყვარე ყოფილაო, რომ ამასა მწერსო. არა, ჭეშმარიტად. მაგრამ სხვები ჩემნი მახლობელნი რომ ნახვენ ხოლმე, რომ ტიტული რიგიანათ არა სწერია, იწუნებენ. და ამისთვის თქვენ გაცნობე, რომ სხვას დროს რიგიანათ და სრულად იყოს ყოველს წერილში“ (თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები, 1964, გვ. 52).

პოემის შინაარს მოკლედ გავყვეთ, რადგან მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილია. პოემაშიც, როგორც გვიდო დე კოლუმნას ისტორიაში, პარისი ნადირობისას ირემს გამოედევნება და იქ იხილავს ამ სამ ქალღმერთს, ოღონდ გვიდო დე კოლუმნას „ტროადის დარღვევის ისტორიაში“,

<sup>1</sup> მთარგმნელის ვინაობა XIX ს-ის II ნახ.-ის ქართველმა მოღვაწემ ნ. გამრეკელმა გამოარკვია (შარაძე, 1974, გვ. 23). დიმიტრი ბაგრატიონის ცნობით კი, ტროადის ომი თარგმნა სარიდან ჩოლოყაშვილმა (მეტრეველი 1980, გვ. 192). როგორც ჩანს, ორჯერ ითარგმნა ქართულად.

<sup>2</sup> ამ თხზულების I-V თავების დეტალური ანალიზის შესახებ იხ. ნადარეიშვილი, 2012.

<sup>3</sup> ეს ბრძოლის ზედმიწევნით აღწერის შესახებაა ნათქვამი, თუმცა შეიძლება გამოვიყენოთ მთელი პოემის მიმართაც. მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ რუსთაველის მკვლევარმა (ბაგრატიონი, 1960) კარგად იცოდა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“.

განსხვავებით თეიმურაზის პოემისაგან, ნადირობისაგან დაღლილ პარისს ჩაეძინება და სამი ქალღმერთი (აფროდიტე, პალადა და იუნონა) მიღში დაესიზმრება, ასევე მცირედ განსხვავებულია ქალღმერთის სახელები. გვიდო დე კოლუმნა იუნონას (ჰერა) გარდა ქალღმერთებს ბერძნული სახელებით – აფროდიტე, პალადა მოიხსენიებს,<sup>1</sup> მაგრამ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ განსხვავებას, თეიმურაზის პოემა მიჰყვება გვიდო დე კოლუმნას ისტორიის ტექსტს, ბუნებრივია, თავის მიზანდასახულობისდა შესაბამისად დიდი კუპიურებით.

თეიმურაზის პოემაშიც პარისი (პარიჟ – თეიმურაზთან, ფარიზი – გვიდო დე კოლუმნასთან)/ მიდის სატირის ჭალაკს, ვენრულის/ აფროდიტეს ტაძარს, დაინახავს ელენეს, „არამქვეყნიური სილამაზით“ მოხიბლული ღამე მოიტაცებს ციხესიმაგრედან<sup>2</sup> (გვიდო დე კოლუმნასთან – ტაძრიდან იტაცებს), აიყვანს გემზე და ტროას წაიყვანს, თან დიდ განძსაც გაიყოლებენ. „მამინ სატრფოი იგი ელენა გამოიყვანა თვით პარიჟ მხნემან,/ სიყვარულითა აღტყინებულმან ვითა ციერმან ლომმან მზის მცველმან/ პირველ მზე იგი უღრუბლო ფრიად მოიცვა შიმშან ოცნებიერმან“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 9).

თეიმურაზი ისევ მიჰყვება გვიდო დე კოლუმნას მონათხრობს – ელენე ქალიშვილზე დარდობს, პრიამოსი და ჰეკუბა, მთელი სამეფო კარი დიდი სიხარულით ეგებებიან ელენეს, საერთო სიხარულს ორივე ნაწარმოებში არ იზიარებენ მხოლოდ ჰექტორი და კასანდრა (გვიდო დე კოლუმნას ისტორიაში პრიამოსი კასანდრას ამ სიხარულის არგაზიარებისთვის სჯის, ბორკილებს ადებს), საბერძნეთში კი ამ დროს აგამემნონი მჭიმუნვარე მენელაოსს აგულიანებს, ლაშქარს კრებს და ტროაზე თავდასასხმელად ემზადება. თავის მხრივ, ტროელებიც მოკავშირეებთან ერთად კრებენ ლაშქარს და იწყება ბრძოლა:

„გამოვიდოდნენ ციხით, ებრძოდნენ ბერძენთა ძლიერად ამარცხებდიან,/ სვრიდენ, სისხლისა ღვარნი ორგნითვე სდიან მდინარებ განდიდნებიან./ მრავალნი მძლენი მეფეთა ტომნი ორსავე მხარეს გოლიათობდეს,/ ლეკტორ ძლიერი, უსწორო გმირი, დევებრივ მხნეი მტერთ დაამხობდეს,/ პარიჟ მამაც ვის ჰყვა ელენე ცის მოკამათე ვარსკვლავთ ვინ ფლობდეს,/ ესე პრიამის მეფისა ძენი ტროადელნი ყოვლით მხნეთ მეტობდეს“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 15).

აქილეუსი, რომელსაც ბერძნები მთელი ძალით იცავენ, მასზე ძლიერ ჰექტორს (ამას თეიმურაზი გვიდო დე კოლუმნას კვალად იმეორებს) ებრძვის: „და ბერძენნი ძლიერად ჰფარავდნენ ახილოესსა. გარნა ლეკტორ მუნ უძლიერესად მკვეთელი ჰხოცდა ბერძენთა მათ, ესრეთ დასწერა დარიამ“ და მზაკვრულად კლავს: „ემებდა მარჯვეს გზასა სიდრკულით<sup>3</sup> თავ მოხრითა იჯდის ფლიდურის ფიქრით,/ რადგან იცოდა ლეკტორ სჯობდა მას სიმხნით და ძალით მძლედ და სიფიცხით“ (გვიდო დე კოლუმნა S:5, გვ. 146).

მსგავსია ჰექტორის დაკრძალვის ცერემონიალიც ორივე ნაწარმოებში, რომლებიც ტროის ციკლის „კანონიკური“ თქმულებებიდან დიდად განსხვავდება: „უქმნეს ბრძოლისა ლუსკუმა ლეკტორს და ფერხზე მდგომი დაედგინება,/ ხელთ ეყრა ხრმალი ბრუნველი ნიშნად, მხედარნო გიხმსთო მტერთა წყინება,/ გულოვანს მხედარს სიკვდილისათვის მტერზე ბრძოლა არ მოეწყინება“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 21). განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ზემოხსენებულ პოემაში ჰექტორის გვამი კი არ დასვეს, დააყენეს.

პოემა, როგორც გვიდო დე კოლუმნას ისტორია, გრძელდება აქილეუსის გრძნობების აღწერით პრიამოსის ქალიშვილ პოლიქსენასადმი. ეს და მომდევნო ამბებიც მიჰყვება გვიდო დე კოლუმნას ისტორიას, ოღონდ აქაც დიდი კუპიურებით. აქილეუსი უმხელს პრიამოსსა და ჰეკუბას პოლიქსენასადმი მის სიყვარულს და ჰპირდება, რომ ბერძნებთან შეარიგებთ მათ, მანამდე კი

<sup>1</sup> გვიდო დე კოლუმნას ისტორიაში ღმერთები მოქმედების განვითარებაში მონაწილეობას არ იღებენ და ამით თხზულება შუა სუკენეების სარაინდო რომანთან სიახლოვეს გვიჩვენებს.

<sup>2</sup> აქ ვეფხისტყაოსნის გავლენაც შეიძლება შევნიშნოთ და შუა სუკუნეების სარაინდო რომანისაც.

<sup>3</sup> ნაკლით.

ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებს. ულისეს უნდა გადაიბიროს აქილევსი და ბოლოს და ბოლოს აცდუნებს მას და ბრძოლაში ჩააბამს. აქილევსი პირობას არღვევს და მუსრს ავლებს ბერძნებს, მათ შორის პრიაშოსს ძეს ტროილოსსაც; გვიდო დე კოლომნა დარეს ფრიგიელის კვალად ძრახავს ჰომეროსს აქილევსის ქებისათვის:

„მაგრამ შენ ომირ მელექსევ, რომელმან წიგნსა შენსა შინა ახილესს ესოდენ ქება შესხმითა და ქადაგებითა აღწერე. ვითარმან გამინჯულობისა გამოცდილებამან მიგზიდა შენ. რამე შეთხზენ შეახმა ქებანი. ესოდენ ბოროტს და არა კაცობრივ მტანჯველს. და გვირგვინოსან ჰყავ ქებისა... ძალიან საყივნებელი ხარ. არა ძალოვნებით მოკლა აქილევსამა, არამედ მზაკვებრნ ღალატებისა ჩანაფიქრით მოკლა აქილევსამ ჰექტორი და ტროილი“ (გვიდო დე კოლომნა S:5, გვ. 185).

შემდეგაც თეიმურაზის პოემა მიჰყვება გვიდო დე კოლომნას ტექსტს: ფიცის გამტეხი აქილევსი ჰეკუბას პატიებას სთხოვს. დედოფალი ჰეკუბა თანხმდება შეხვედრას, სინამდვილეში კი განზრახული აქვს მახე დაუგოს *აქილევსს*: „*იხმო ტამარსა აპოლონისას მუნ განუმზადა საფრხე მომკვლელი./ დამალა პარიჟ და ოცნი მხნენი კაცნი მამაცნი ისართ ხრმალოთ მკვრელნი*“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 23). აქილევსთან ერთად ჩასაფრებულმა ტროელებმა (პარისმა) ნესტორის ძე ანტილოქოსიც მოკლეს (თეიმურაზთან – ასტილოდად, გვიდო დე კოლომნასთან კი არტილოდად მოხსენიებული). ბრძოლები გრძელდება, რაკი ტროა ბრძოლით ვერ აიღეს, ბერძნებმა მზაკვრობას მიმართეს: „*იმოვნეს შიგან გამცემნის კაცნი (ანტენორ, ენეი – ორივესთან ეს სახელებია), ულისემ იწყო მცბიერ მელობა*“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 25); ტროის სიმტკიცის სიმბოლოს-პალასის<sup>1</sup> საკვირველი ქანდაკების (პალადიონის) მოტაცების აღწერაც იდენტურია. პალადიონის მცველი ქურუმი ტონტო (გვიდო დე კოლომნასთან – ტანტა მღვდელი) ურიცხვი ოქროთი მოისყიდეს ენეასმა, ანტენორმა და ულისემ, ამ მოღალატეებმა (ენეასმა, ანტენორმა) დაიყოლიეს პრიაშოსი შერიგბოდა ბერძნებს და დიდი ცხენი შეეტანა ქალაქში „*განსჯარეს კარსა უთხრეს ტროადელთ თქვენ შეიტანეთ ამას კარს წინა./ უკუნისამდე დიდებდა თქვენდა სახსენებელ არს ესე თქვენთვინა*“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 30).

ბერძნებმა ცხენში ჩასვეს სინონ „*მხნე გულოვნებით*“, როცა შეზარხოშებულ ტროელებს ძილმა თავი წაართვა, სინონი გამოძვრა ცხენიდან, ანიშნა ბერძნებს, ისინი შეესივნენ ქალაქს, აჩეხეს ტროელები, გადაწვეს ქალაქი: „*ხმა ვაებისა და დადადებათ ცად აღიწივა მოძღვართ ზახილი./ ცეცხლით მახვილით უწყალოს ხელით ტროიანელნი იქმნენ მიხრილნი*“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 32).

და შემდეგაც, როგორც გვიდო დე კოლომნასთან მეფის ასული „*პოლექსენაი უმშვენიერეს ვარსკვლავთა მზისა*“ პირუსმა, აქილევსის ძემ, „*დააკლა საფლავს ახილესისა*“.

შვილების სიკვდილისგან ჰეკუბაზე შემოილილი ჰეკუბა (ეკუბა – თეიმურაზთან და გვიდო დე კოლომნასთანაც) ბერძნებმა ჩაქოლეს: „*ეს დედოფალი ყოვლად მაღალი არ შეიწყალეს დაჰქოლეს მწარედ./ და ზედა დიდი ტაგრუცი გორად აღუდგეს მრავალთ ქუათაგან მყარედ*“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 34).

თეიმურაზ ბატონიშვილის პოემაში გადმოცემულია ჯერ ტროელ მოღალატეთა მძიმე ხვედრი: ანტენორის მოკვლა, ქონების წართმევა, ვაჟიშვილების ტყვედ აყვანა, ცოლისა და ქალიშვილის უპოვრად დატოვება და ენეასის გაგდება.: „*ესრეთ ცუდი არს მამულის შვილთგან ზაკვა და შინა გამცემელობა./ სვინიდიისისა სრულად დაბრძობა ანუ ასპიტ გველობა./ სარგებელთ ნაცვლად დაამბობს ორგულს ყოვლად ბოროტი ესე ხელობა./ სამტეროს მთხრებლსა თვით შთათხროს ვინც იმოქმედოს ორმოს მთხრელობა*“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 37).

<sup>1</sup> „ესრეთ ძალი აქვნდა მას ნივთსა რომელ ვერ ავნო მტერმან მომსვლელმან./ რომელსა შინა ქალაქსა სცვიდენ მას ვერა ავნოს საბრხედ დამრწყველმან./ ესე ანტენორ და ენეიმან იცოდნენ მტკიცის დამტკიცებითა./ ენენე პალად ტროადსა შინა არს არა რა ევნოს აოხრებითა./ აუწყეს ესე ბერძენთ მეფეთა და იწყეს ცდაი მანქანებითა./ რათა პალადა იდუმალის ცდით წარიპარონ დრკუდ მცბიერებითა“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 28).

შემდეგ კი მოკლედ ბერძენ მთავართა უბედობა: „რაც დასთესეს უწყალო ბერძენთ იგივე თვითცა მოიძვეს უხვად,/ სიბოროტითა ამპარტავანი თვითცა შთაცვივდნეს მთხრებლთ ღრმათან უხვად“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 39). გვიდო დე კოლუმნას „ტროადის დარღვევის ისტორიაში“ კი დაწვრილებითაა გადმოცემული პალამიდისის გაწირვა ოდისევსისგან, ტროის ომიდან დაბრუნებული აგამემნონის მზაკვრული მოკვლა, დიომედეს შინიდან განდევნა, ორესტესის შურისძიება – დედისა და ეგისტოსის მოკვლა, აქილევსის ძის პიროსის (გვიდო დე კოლუმნასთან – პირუსი) მოკვლა ორესტესის მიერ, ოდისევსის ავბედობანი და მისი სიკვდილით მთავრდება კიდევ გვიდო დე კოლუმნას „ტროადის დარღვევის ისტორია“.

შესაბამისად, შედარებამ ცხადყო, რომ თეიმურაზის პოემის „ტროადის დარღვევა“ პირველწყარო გვიდო დე კოლუმნას „ტროადის დარღვევის ისტორია“, ჯერ ერთი – პოემა თანმიმდევრულად, მაგრამ დიდი კუბიურებით მისდევს გვიდო დე კოლუმნას თხრობას. მეორე – ქართული თარგმანი მისთვის ხელმისაწვდომი იყო, მეტიც, როგორც კვლევებმა აჩვენა, ამ ნაწარმოების ერთი ნუსხა თეიმურაზს თავის წიგნთსაცავშიც კი ჰქონდა (შარაძე, 1974, გვ. 25). მესამე, ზოგჯერ ფრაზეოლოგიაც კი მსგავსია, ასე მაგ. „მთავრდა იმ ორმოში, რომელიც სხვათა ბოროტად აღმოუთხარა“ (გვიდო დე კოლუმნა S:5, გვ. 243) და თეიმურაზი: „სამტეროს მთხრებლსა თვით შთათხროის ვინც იმოქმედოს ორმოს მთხრელობა“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 37), მეოთხე – თითქმის მსგავსია სახელების გადმოცემაც.<sup>1</sup>

ბუნებრივია, თეიმურაზ ბატონიშვილის პოემაში მცირე მოცულობის გამო, გვიდო დე კოლუმნას ისტორიის ბევრი პასაჟია გამოტყვეებული (ხომალდთა კატალოგი, ბატალური სცენები, მათ შორის ორთაბრძოლებიც, მხედართა და გემთა რაოდენობა, ტროადაში პენტესილაე (პანტაზალ) ამაზონთა დედოფლის მისვლა მეგობარ ჰექტორის დასახმარებლად, თავგანწირული ბრძოლა და სიკვდილი და ა.შ. და ა.შ.).

თეიმურაზ ბატონიშვილის ჩანაფიქრისა და ეროვნული სულისკვეთებისათვის, ეჩვენებინა ბერძენების მზაკვრობა და ტროელების კეთილშობილება, ეს პასაჟები ნაკლებად მნიშვნელოვნად ჩანდა. თეიმურაზ ბატონიშვილს სურდა წარმოეჩინა ბერძენების, ალეგორიულად რუსების, უმაწყალობა „განძვინებულნი ამპარტავანნი უწყალობით სავსე ბერძენნი“, „უწყალობი“, „მამინდელს სისხლის მწყურვალნი ფრიად ავეულნი ბოროტ გესლოვანენი, მარადის ღმობას და შეწყალების და სიმშვიდისა გარეგან მძენნი“ და ტროელების თავგანწირვა და საბოლოოდ, მომავალში სამართლიანობის ზეობა (suum cuique – „ყველა თავისას“): „რაც დასთესეს უწყალო ბერძენთ იგივე თვითცა მოიძვეს უხვად“ ან „სიბოროტითა ამპარტავანი თვითცა შთაცვივდნეს მთხრებლთ ღრმათან უხვად“ (ტროადის დარღვევა, 1860, გვ. 39).

ეს პოემა რომ ალეგორიულია, ამას თავად თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერიც ადასტურებს. ეს პიესა არის „სამაგალითო, სასახიოზე ალიგორებრი“ და დაწერილია იმისთვის, რომ: „ყრმასა შთაბეროს ერთგულება მამულისა და სიყვარული კვართისა, რომლისა მადლსა მეფობა ჩვენი განუმტკიცებდეს“.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ალეგორიულ დიდაქტიკურ პოემაში ბევრია განსჯა სიკეთეზე, ცოდვა-მადლის განკითხვაზე, რაც გვიდო დე კოლუმნას თხზულებაში ნაკლებად გვხვდება, მაგრამ ეს სავარაუდოდ რუსი მთარგმნელების „ბრალეულობა“ (ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში გვიდო დე კოლუმნას დიდაქტიკურ პასაჟებსაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ), რომლებმაც შემოკლებულად თარგმნეს ეს ისტორია და ქართველებიც მათ თარგმანს მიჰყვნენ.

როგორც ვნახეთ, ეჭვგარეშეა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის პოემის ძირითადი წყარო გვიდო დე კოლუმნას „ტროის რღვევის ისტორია“, მაგრამ ღრმად განსწავლული პირველი ქართველი აკადემიკოსი კარგად იცნობდა ანტიკურობას და თავის პოემაში სრულიად უნიკალური მთელი ანტიკური ლიტერატურისათვის ერთი პასაჟი აქვს მოყვანილი: პარისის სამსჯავროზე უფლის-

<sup>1</sup> ზოგჯერ გვიდო დე კოლუმნა ცდება სახელების გადმოცემისას, მაგ., ჰექტორის ცოლს ის ანდრომაქეს ნაცვლად ანდრომედად იხსენიებს

წული ქალღმერთებს ასე უბრძანებს: „ტანს განიძარცვეთ რათა განვსჩხრიკო, ყოველი გვამი თქვენის ნათლის./ მსწრაფლ განიძარცვეს ესრეთ და დასდგეს პარიუს წინაშე გარდიხდის კალთის,/ და სცნობს მათ შორის უმშვენიერეს და დააკვირვებს გულით მას თვალთის“ (ტროადის დარღვევა 1860, გვ. 4). ქალღმერთების გამიშველების მოთხოვნა<sup>1</sup> პირველად ბერძნულ ლიტერატურაში ლუკიანუსთან მის ფილოსოფიურ სატირაში „ღმერთების დიალოგი“ (Lucian, 1829, p. 20) არის დამოწმებული. ნაკლებად სარწმუნოა, რომ თეიმურაზი ამ ნაწარმოებს ან ორიგინალში ან ევროპული თარგმანებით იცნობდა, სავარაუდოა, რომ მან ისარგებლა რუსულ ენაზე უფრო ადრე სანკტ-პეტერბურგში გამოცემული იოანე სიდოროვსკის (Лукиан, 1775-1784) თარგმანით.

თეიმურაზ ბატონიშვილი იცნობდა ჰომეროსს და მის მიერ გადმოცემულ ტროის ომის ისტორიას, მაგრამ, სავარაუდოდ თავისი პოემის წყაროდ აირჩია დიდი ომის არა ბერძენის, არამედ დიქტის კრეტელის და უფრო მეტიც ტროელის – დარეს ფრიგიელის (რომელთა ფიქტიური მონათხრობიც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო გვიდო დე კოლუმნას ისტორიას), ბრძოლაში დამარცხებულის, თვალთახედვით გადმოცემა.<sup>2</sup>

რასაკვირველია, დარეს ფრიგიელის ანუ გვიდო დე კოლუმნას მიერ ტროელების ვაჟკაცობის ხოტბის შესხმა და ბერძენების მზაკვრობის ჩვენება თეიმურაზ ბატონიშვილისთვის ალევგორიულად რუსეთის მიერ საქართველოსთვის დამოუკიდებლობის წართმევას ეხმიანებოდა და შესაფერისი თემატიკა იყო სამშობლოდაკარგული მეფის მემკვიდრის განწყობის გამოსახატავად.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ასათიანი, ვ. (2021). ანტიკური კულტურა. ბიზანტია და საქართველო, თბილისი: „ლოგოსი“, ISBN 978-9941-9742-8-1
- ბაგრატიონი, თ. (1960). განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“. გაიოზ იმედაშვილის რედ., გამოკვლევითა და სამიუზეუმით, თბილისი: „საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა და სტ.“.
- ბატონიშვილი, ი. (1935). კალმასობა. კ. კველიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტ. I, ტფილისი: „სახელგამი“.
- გვიდო დე კოლუმნა S:5 : გვიდო დე კოლუმნა. ტროადის დარღვევის ისტორია. ხელნაწერი S:5.
- თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები (1964). თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. ბროსესადმი.. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და სამიუზეუმები დაურთო სოლომონ ყუბანე-იშვილმა, თბილისი: „მეცნიერება“.
- მესხია, შ. (1939). თეიმურაზ ბატონიშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, 18-78, თბილისი: „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა“.
- [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266436/1/Masalebi Saqartvelosa Da Kavkasiis Istoriisatvis 1939 I.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266436/1/Masalebi%20Saqartvelosa%20Da%20Kavkasiis%20Istoriisatvis%201939%20I.pdf)
- მეტრეველი, ელ. (1980). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი 1. ნაკვ. 3, შეადგინეს და დასაბუჟადად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქეთარიათ, ლ. ქუთათელაძემ, თბილისი: „მეცნიერება“.
- ნადარეიშვილი, ქ. (2012). არგონავტების მითის ინტერპრეტაცია თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“, VI საერთაშორისო სიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, მასალები, ნაწილი I, 302-314, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“. ISBN 978-9941-0-3961-4
- ტროადის დარღვევა (საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა) (1860). მეხაძის ვაშლის განმარტება. ცისკარი, 9, 1-39. ტფილისი: „კერესელიძის ტიპოგრაფიაში“.
- [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/144/1/Ciskari 1860 N09.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/144/1/Ciskari%201860%20N09.pdf)
- ფხაკაძე, მ., გარდაფხაკე, ქ. (2026). პირველი ქართული პოემა ტროის ომზე, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, IV (იბეჟდება).
- შარაძე, გ. (1974). თეიმურაზ ბაგრატიონი. წგ. II. გამოკვლევა და ტექსტები, თბილისი: „მეცნიერება“.

<sup>1</sup> მხოლოდ ერთ წყაროში დამოწმებული ეს უჩვეულო და მოულოდნელი პასაჟი რად მოიტანა თეიმურაზ ბატონიშვილმა, ძნელი სათქმელია, სავარაუდოდ, პოეტის ან კაცის ინტერესმა იძალა.

<sup>2</sup> ამ თხზულებაში ჰექტორი უფრო დიდი გმირია, ვიდრე აქილეუსი (განსხვავებით ჰომეროსის პოემებისგან).

- Bergen, H. (Ed.). (1906). *Lydgate's Troy book, Part I*, London: Paul., Trench. Trübner & Co.
- Griffin, N. E. (Ed.). (1936). *Guido de Columnis Historia destructionis Troiae*, Cambridge (Mass.).
- Lucianus. (1829). *Dialogi deorum*. Ed. Franciscus Volcmarus Fritzsche, Lipsiae.  
[https://books.google.ge/books?id=RKcEW4qm1LQC&printsec=frontcover&source=gbs\\_atb&redir\\_esc=y#v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books?id=RKcEW4qm1LQC&printsec=frontcover&source=gbs_atb&redir_esc=y#v=onepage&q&f=false)
- Лукиан (1775-1784). *Разговоры Лукиана Самосатского*. (1775-1784). Пер. И. Сидоровского и М. Пахомова. СПб.

#### References:

- Asatiani, V. (2021). *Antikuri Kultura. Bizantia Da Sakartvelo*. [Ancient Culture. Byzantium and Georgia]. Tbilisi: "Logosi".
- Bagrationi, T. (1960). *Ganmarteba Poema "Vepkhistaqosnisa"*. [Explanation of the Poem "The Knight in the Panther's Skin"]. *Gaioz Imedashvilis Red., Gamokvlevita Da Sadzieblebit*, Tbilisi: "Sak. SSR Metsn. Akad. Gam-ba Da St."
- Batonishvili, I. (1935). *Kalmasoba*. [Kalmasoba]. K. Kekelidzisa Da Al. Baramidzis Redaktsiit, T. I, Tbilisi: "Sakhelgami".
- Bergen, H. (Ed.). (1906). *Lydgate's Troy book, Part I*, London: Paul., Trench. Trübner & Co.
- Griffin, N. E. (Ed.). (1936). *Guido de Columnis Historia destructionis Troiae*, Cambridge (Mass.).
- Gvido De Kolumna S:5 : Gvido De Kolumna. *Troadis Darghvevis Istoria*. [History of the Destruction of Troy]. *Khelnatseri S:5*.
- Lucian (1775-1784). *Razgovori Luciana Samosatskogo*. [Conversations of Lucian of Samosata]. Per. I. Sidorovskogo I M. Paxomova. SPb.
- Lucianus. (1829). *Dialogi deorum*. Ed. Franciscus Volcmarus Fritzsche, Lipsiae.  
[https://books.google.ge/books?id=RKcEW4qm1LQC&printsec=frontcover&source=gbs\\_atb&redir\\_esc=y#v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books?id=RKcEW4qm1LQC&printsec=frontcover&source=gbs_atb&redir_esc=y#v=onepage&q&f=false)
- Meskhia, Sh. (1939). *Teimuraz Batonishvili (Tskhovreba Da Shemokmedeba)*. [Teimuraz Batonishvili (Life and Work)]. *Masalebi Sakartvelosa Da Kavkasiis Istoriisatvis, Nakveti I*, 18-78. Tbilisi: "SSRK MetsnierebaTa Akademiis Sakartvelos Pilialis Gamomtsemloba".  
[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266436/1/Masalebi\\_Sakartvelosa\\_Da\\_Kavkasiis\\_Istoriisatvis\\_1939\\_I.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266436/1/Masalebi_Sakartvelosa_Da_Kavkasiis_Istoriisatvis_1939_I.pdf)
- Metreveli, El. (1980). *Kartul Khelnatserta Aghtseriloba Qopili Saeklesio Muzeumis (A) Kolektsiisa*. [Description of Georgian Manuscripts from the (A) Collection of the Former Church Museum]. Tomi 1. *Nakv. 3, Seadgines Da Dasabechdad Moamzades T. Bregadzem, M. Kavtariam, L. Kutateladzem*. Tbilisi: "Metsniereba".
- Nadareishvili, K. (2012). *Argonavtebis Mitis Interpretatsia Teimuraz Batonishvilis "Iveriis Istoriashi"*. [The Interpretation of the Argonauts' Myth in the "History of Iveria" by Teimuraz Batonishvili]. VI Saertashoriso Simpoziumi, *Literaturatmtsodneobis Tanamedrove Problemebi, Masalebi, Natsili I*, 302-314. Tbilisi: "Literaturis Institutis Gamomtsemloba". ISBN 978-9941-0-3961-4
- Pkhakadze, M., Gardapkhadze, K. (2026). *Pirveli Kartuli Poema Trois Omze*. [The first Georgian Poem about the Trojan War]. *Humanitaruli Metsnierebebi Inpormatsiul Sazogadoebashi, IV* (in press).
- Sharadze, G. (1974). *Teimuraz Bagrationi. Tsg. II. Gamokvleva Da Tekstebi*. [Teimuraz Bagrationi. Book. II. Research and Texts]. Tbilisi: "Metsniereba".
- Teimuraz Bagrationis Tserilebi (1964). *Teimuraz Bagrationis Tserilebi Akad. Brosesadmi*. [Teimuraz Bagrationi's Letters to Acad. Brose]. *Teksti Gamosatsemad Moamzada, Tsinasitqvaoba, Shenishvnebi Da Sadzieblebi Daurto Solomon Qubaneishvilma*, Tbilisi: "Metsniereba".
- Troadis Darghveva (Sakartvelos Mepis Dzis Teimurazisa) (1860). *Mekhadzis Vashlis Ganmarteba*. [The Destruction of the Troad (by Teimuraz, the Son of the Georgian King). The Explanation of Mekhadze's Apple]. *Tsiskari*, 9, 1-39. Tbilisi: "Kereselidzis Tipograpiashi". [https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/144/1/Ciskari\\_1860\\_N09.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/144/1/Ciskari_1860_N09.pdf)